

F-23  
1917

ნ. 1161

ლელია

6532  
F-5779  
167

მრ. რუმბაძემ.

„ლეილა“

მგონი, პირველად დაერქვა ჟურნალს ქალის სახელი. „ლეილა“ — აღმოსავლეთის სილამაზეა ამ სახელით მოკვეთილი. კარგი უქნია ჩვენს მოკისკასე გრიშაშვილს, ეს ჟურნალი რომ ამ სახელით მოუნათლავს.

დიადია აღმოსავლეთი: მწევაი და ნელია მისი ცხელი შუადღე, როცა მზის ნადიმზე ოქროს ნაკადულებში ლურჯთვალა ქალწული იბადება; ღრმა და მყუდროა მისი შუალამე, როცა ცის ლურჯა ფსკერზე უძირო საიდუმლონი ბრილიანტობენ.

საოცარია აღმოსავლეთი: მარტოდ მარტო ინდოეთი და სპარსეთი რად ღირს! უზრეტი გონი ინდოეთის, ნათელს ნირვანაში გააღებული; თებლის მჭრელი ხალიჩა სპარსეთის სიზმრების, საიდუმლო ჰაშიშით ზმანებული...

საქართველოც ხომ ნატეხია აღმოსავლეთის! და ჩვენ არ უნდა დავიფიქროთ ჩვენი აკვანი. ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ვერ დავსთმობთ. უმჯობესი იქნება მათი ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ...

და საქართველოც თითქო ამისათვისაა შობილი. აბა დააკვირდით რუსეთებს: განა მან არ შეჰკრა სინთეზი აღმოსავლეთის დაზრდილული ფიქრისა და იტალიის აზადრევენებული რენესანსის გაქანებისა!..

„ლეილამ“ სწორეთ აღმოსავლეთის ფიქრმორეული გულ-ნება უნდა გადაგვიშალოს. მან თავისი ლამაზი ტანით აღმოსავლეთის ტემპერამენტი უნდა აენებოს მთელი მისი ხალხით...

გარნა: არც თუ ევროპას დაივიწყებს ქალწული „ლეილა“: მრავალი სატენიკო შექენა ხელოვნებაში მოგვცა ევროპამ. ჩვენც მათ გამოვიყენებთ, როგორც ინსტრუმენტებს, — ხოლო მათ აღმოსავლეთური ჰანგებით ავამეტყველებთ... აღმოსავლეთის მზის ცხელს ნადიმზე ლურჯთვალა ქალწული იბადება თმაოქროვანი: „ლეილა“ — დასტკბით მისი სილამაზით!

ვარსკვლავოსანი დამე ირანისა.



ი. პრივაზილი.

## სპარსეთის დედოფალი

### 1

ვინ არი აგერ იქ სარკმელთან ვინა ზის,  
მფინარი სიციხლის, ეზბის და სინაზის,  
შიშველი მკლავებით ქარს მკერდზედ ახუტებს,  
ვით შველი გაჰყურებს მთის ჭარმავ ჩაფხუტებს.  
ტანი აქვს, რა ტანი: ლერწამი! კენარი!  
ხან მიაქვს, ხან მოაქვს ღიმილი ზენარი;  
აღუბლის ტუჩებზე ამბორი ნანაობს,  
და შუბლის წინამო ნიაფზე ყანაობს,  
ქვეყნით ნაზია, ცქაფია, ჩქარული,  
ისე ვით ეს რითმა ამ ლექსში ფარული.

### 2

მებრალვით, მგოსნებო, ღმერთმანი მებრალვით,  
რომ კრძალვით ქალებსა ექცევით, ემაღვით,  
რა რიგად იმცილებთ საკუთარ თავსა და  
რიგრიგად ცოდვილობთ ბერების მზგავსადა,  
აქ მოდით ჩემთანა,—ჰე აქეთ! ჰე აქეთ!  
და ოდით ეს ქალი შეამკეთ, შეაქეთ,  
აღსეით თაზანა, მომართეთ ჩანგური,  
აკვნესეთ სიმები, სიმები ჰანგური  
და ენით, იმ ენით შოთა რო ლექსს გვეფნდა,  
შეჰქმენით ლეგენდა, უკვდავი ლეგენდა.

### 3

რად გინდა, მხატვარო რად გინდა, რომ ბოლოს  
ეგ წმინდა სახელი ბრბომ ზიზლით ჩაქოლოს,  
რას სტანჯავ მარჯვენას მითხარი რა გნებავს,  
რად ხარჯავ უბრალოდ მაგ ფერად საღებავს?  
და, ან ვით გგონია დასტებები, დათვრები?—  
დაცინვით დავსჯიან სხვა ქვეყნის მხატვრები!!  
ახ, მენდე შერცხვები მაგ ტილო-ფალასით...  
აენთე, მხატვარო, ნიჭითა ხალასით  
გაბედვით იხილე ეს ქალი,—ჩვენება,—  
და ხედვით მოსტაცე სამხატვრო შევენება.

### 4

ქანდაკის მკვეთლო! თუ გინდა, თუ რომ გსურს  
სპეტაკის ღიმილით ჰანვს გვეფნდენ ალერსურს;  
თუ გინდა შენც გახდე მსოფლიოს მხატვარი,  
მოგვეწყინდა ერთავად ქანდაკი მაგგვარი,  
ან, რატომ სურვილობ ხალხს ისე ჩამორჩე,  
რომ მარტომ იგლოვო ეგ ნორჩი სინორჩე?  
დასტოვე ეგ რვალი, ეგ აზრი, ეგ ნება  
და სთხოვე შემოქმედს მოგბადლოს შეგნება,  
რომ გქონდეს ქანდაკად ამ ქალის მარმარა,  
ოლონდ ეს აჰკვეთე სხვა ნურა გგამარა.

5

და, ან, შენ, მღერალო ნეტავი რას ფიქრობ,  
დაამშვენ შენ სახელს, ან სევდას გაიქრობ?  
შენს ხმაში არა სჩანს ხმა წრფელი, ხმა სადა,  
არც ტაში, არც ვარდი, არა სჩანს არსადა,  
გეტყობა, ყველაფერს კისრულობ ადვილად,  
სჩანს ტრფობა არ იცი რას ნიშნავს ნამდვილად,—  
მაშ მტერი ხომ არ ხარ შენი ხმის, რომ ობლად  
დამღერი უსულოდ, უგულოდ, უგრძობლად??  
ჰა, შეხე ამ ქალსა, ჰა, შეხე და... მერე  
დასტეხე ხმის ხინჯი და გრძობით დამღერე...

6

ვინ არი, აგერ იქ სარკმელთან ვინა ზის,  
მფინარი სიცოცხლის გზის და სინაზის?  
მისამართს შევიტყობ, მისხლითი-მისხლითა  
ან მის კვართს შევეღებავ ალისფერ სისხლითა,  
ან, არა მის ხსოვნას, მის ფიქრებს, მის სახელს,  
ნარანა ოცნება მხოლოდ მე გამიმხვლს.  
ოდესმე ჩემს მამულს თუ ხსნა ვლირების,  
ოდეს მე გავხედები თუნდ მეფე ლეკების:—  
მაშინ სულს ვფიცავარ—ამ ქვეყნად, ამ სოფლად—  
ამ ასულს დავსევამდი სპარსეთის დედოფლად.

დედაქალაქი. თოვლისთვე.

**მერძნისი ქიმქი.**

**გ ზ ე**

ჩემო პაწია მეგობარო, შენ შეიძლება აღარც გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა.  
სრულიად შემთხვევით დაგიმეზობლდი, დიდი ქალაქის ერთს მოუსვენარს და  
შოდრავს ქუჩაზე რომ სცხოვრობდი.  
როცა პირველად შენთან შემოველ, შენ მკითხე: როგორ მოგწონთ ახალი  
ოთახი?

— არა უშავს რა, მაგრამ ჩვენი ფანჯრები ხომ სამხრეთისაკენ იცქირებიან:  
ჩქარა ცხელი ზაფხული დაგვიდგება და მწვავე მზის სხივები თავს მოგვაბეზ-  
რებენ.

შენ ამაზე უბრალოდ და ხმა დაბლად მიბასუხე:—ოჰ, რას ამბობთ, მე ხომ ასე  
მოუთმენლად ველი მზეს.

ფიქრებში წასული კუთხეში დავეკე და თვალებზე ხელები ავიფარე. კარ-  
გად გიცან ვინცა ხარ, მეგობარო! შენ მზეს ელი. ეკვი არ არის შენ ჩრდილოე-  
თის ერთი დიდი და ბურუსიანი ქალაქის შვილი ხარ, ანდერსენის თანამემამუ-  
ლე: შენც ხომ ისეთივე უბრალო და უძირო ხარ, როგორც მისი ზღაპრები. დი-  
დი, ყაზარმის მსგავსი სახლის ნესტიან სარდაფში დაიბადე, ნახევრად მიწაში  
რომ არის ჩაფლული. მამა შენი სამუშაოდან შინ გვიან ბრუნდებოდა. ძარღვიანი  
ხელებით აგვიყვანდა და ფანჯარაში გავახედებდა, რკინის მავთულებიან ჩარჩო-  
ებში. მაგრამ მზეს ვეღარ დაინახავდი: უკვე ჩასული იყო.

მერმე როცა წამოიზარდე, თვით შენ აცოცდებოდი ხოლმე სარკმელის ბრტყელს  
ფიცარზე. მზე საკაოდ მაღლა იდგა, რომ ოდნავ ფანჯრის გარეშე კუთხეები  
გაენათებინა. მაგრამ ხელებს ამაოდ იწვედი მისი სხივების დასაჭერად: ისინი  
ნელნელა ზევით მიიწვედნენ რათა ზევითა სართულები გაეშუქებინა.

და ეხლა უცხოეთში მზეს ელი, მეგობარო, მე გამომიყ: სამხრეთის შვილი ვარ.  
ჩვენში ცხრათვალა მნათობი უხვად გავცინათებს. მაგრამ, ჩემო კარგო, ჩემი სამ-  
შობლოს მზე არავის ეალერსება: ის მეტისმეტად მწვავეა.

ა. ჭაჭავაძე.

## ლარნაკი-გული

ნოზათად ე... ს.

აი, ჩემს მაგიდაზე სდგას იგი, უცხო ლარნაკი, როგორც სიმბოლო ბედისწერისა.

ალბატრის ძველი ლარნაკი, უცნაურის წარწერითა და ქარაგმებით მოჩითული. სიყრმის ცინცხალს ალიონზე მომიძღვნა იგი მორცხვმა ლეილამ ნიშნად დამპურის სიყვარულისა.

ლეილა!..

წუთით შევხედით და სამარადისოდ კი დაგვზორდით ერთმანეთს.

ვინ იცის, რამდენჯერ იყილა მას შემდეგ მამალმა!

ხოლო ხსოვნა კი ჯერ ისევ ცოცხალია: ცხუნარე ქვიშაზე ვისხედით, მქელ პალმების ქვეშ, მლოცველთა ხელებივით რომ გაუწვდიათ ჩხარი ფოთლები. იგი ცას შესცქეროდა, მე კი მის თვალებს, ცასავით ვრცელსა და გამოუცნობს.

ვისხედით და ვსდუმდით.

საღაღაც შორს, მინარეთის წვერვალზე ისმოდა გულამოსკენილი ძახილი დიდი ალლაპის სადიდებლად. ხოლო ჩვენს გვერდით ტანწერწეტა შადრევანი ოდნევ გასაგონად ლოცულობდა წინწყლების კრიალოსანზე.

ვსდუმდით და თითქო ველოდით...

ჩვენც არ ვიცოდით, ვის ან რას.

გამოთხოვების ეპი იყო უკანასკნელი.

ბოდვასაც აენთენ ვარსკვლავები, ლეილამ თვალი მიწას მიაპყრო და ასე დაიწყო: „დიდი ხანია მას შემდგომ... თოვლით დამავენდს გარდა არავინ არის ამ ამბის მომსწრე. შორს, ქაშანის წყეულ სახანოში, სადაც ვარდს სწამლავს ასპიდის გესლი, სცხოვრობდა თურმე დიდი ქადაგი. ნიშამს ეძახდნენ. დავრიში იყო და მონა ღვთისა. უბიწოება ჰქონდა აღთქმული. ამიტომ ქალსა და ღვინოს ერიდებოდა, რადგან ორივეს ერთი წყარო აქვს: უშრეტი ვენება. სოფლიდან სოფელს გადადიოდა თვისი ებანით და ღვთის განგებას ამცნობდა ხალხს. თაფლი და ღვინო ვის მოსწყურებია ისე, როგორც მისი სიტყვა.

ღვთიური იყო.

ბევრს უყვარდა იგი. მას კი—არავინ. მარტო იყო.

ერთხელ, მზის გადახრისას შეხვდა მას მშვენიერი ჰარილე, რჩეული ქაშანის ასულთა შორის. ქადაგი თურმე აუზს დაეყრდნო წყლის დასალევად, მაგრამ ვერ დასწვდა. ჰარილემ ააგსო თვისი ქურქელი და მიაწოდა. მგზავრმა დალია და ქურქელი იქვე, მის ფერხთა წინაშე სიძს დაახეთქა. განკვივრდა ჰარილე. ხოლო ქადაგმა თვისი ყვარჯენი მოიმარჯვა და გზას გაუღდა...

მას შემდეგ ჰარილე უნებურად ესტუმბებოდა ხოლმე იმ აუზს, მაგრამ უცნაური მგზავრი აღარსად სჩანდა. მას თვისი სავალი ჰქონდა. ელოდა ჰარილე და სწუხდა. გავიდა ხანი. აუზი დაშრა. მგზავრი კი ისევ განაგრძობდა თავის გზას. მაშინ ჰარილემ დასწყევლა თვისი გაჩენა. გამოსკენა ფუთა და მიჰყვა მის კვალს...

უღაბნოის მხურვალე ქვიშამ დაჰსერა მისი რბილი ფეხები. მრისხანე ჰამსინმა დაუშთო სათუთი თვალის გუგანი. ასპიდთა და მორიელთა დაჰგესლეს ტანი მისი ლაღად ნაზარდი.

მაგრამ სული მისი მხოლოდ ნიშამს უხმობდა.

და აჰა, მსოფლიოს დიდს გზაჯვარედინზე კვალად იხილა იგი: ღონემხიდილი დაყრდნობიდა დამშრალ რუს და ობმოკიდებულ გუბებს წვეთობით სრუტავდა. ჰარილემ მუხლი მოიყარა მის წინაშე და შესთხოვა:

— სასურველო, მიიღე ჩემი სასმელი!

განცვიფრდა ბრძენი.

— ჭურჭელი რომ არა გაქვს?

მაშინ ჰარილემ გაიპო ფიქალის მკერდი, ბუდიანად ამოიღო სიყვარულით აფართქალებული გული და გაუწოდა:

— ჰა, დაეწაფე!

რა წამს ვაქმა ტუჩი შეახო, მყის გული უტხო ლარნაკად იქცა და შიგ ბროლის ნალესად აღივლივდა მწუთხე სასმელი.

იგი ცრემლი იყო, ჰარილეს ცრემლი, მარტოობაში რომ ჰღვრიდა ხოლმე მის მომლოდინე.

ქადაგმა წყურვილი მოიკლა და კვლავ გაუდგა თავის დაუსრულებელ გზას...

მას შემდგომ ქალი უფულოდ დაშთა, ხოლო მოუკვლელი წყურვილით გახელებული ვაგი მარად ეძიებს მას, რაც ოდესმე საკუთარის ხელით დაუმსხვრევია.

იპოვის განა?..“

თვალთა შუადღე.

## ხ. კაკაბაძე.

### დაგვიანებული რითმა

როცა, ჭაბუკი, შენს ოქროს თმას მზეს ვადარებდი,  
როცა შენს სახეს მე ოცნებით დევატარებდი;  
როს ჩემი სული შენი სულის ბუქს დაჰკიოდა  
და ჩემს სიმღერას ზამბახი და ვარდი სცვიოდა,—  
შენი სურვილი ჩემს ოცნებას ეურჩებოდა,  
და ჩემი გრძნობა უჭუქეულ ლოცვად რჩებოდა.

ახლა, როდესაც ცრემლით დავსწვი შენი სახელი,  
სარკე გავტეხე შენი სახის გამოშახველი,  
და არც ცეცხლი მაქვს სიყვარულის სამხსენებლოსთვისა,—  
მოულოდნელად გავიგონე გამოძახილი  
შენს ყრუ ღუმელში დამარხული ჩემი ლოცვისა.

მაგრამ რომ კიდევ დაფერფლილი აღმგზნოს ვენება,  
მკვდრეთით აღდგომით ჩემი გრძნობა, ვიცი, თვით ივენებს:—  
შავ მოგონებად დააწვება აწყყოს წარსული,  
ყვავილს ვერ გაშლის მზე ზამთრისა სხივ-გაძარცული,  
ლოდ-ქვეშ ნამყოფი სიყვარული ვერ გაიცინებს...  
ახლა ვით ქალი მგლოვიარე ჩემი ოცნება  
საფლავის ქვაზე თავდახრილი ჩემად ქვითინებს.

ცრემლით ავისო ჩემი გული და დაზიანდა  
გრძნობა მოსწამლა და დაზრიტა მწარე ნაღველმა.  
შავი ჩიიცვა ჩემმა თვალმა, შენმა მნახველმა,—  
მე ჩემს ხსოვნაში შენს აზრდილსაც შავი ჩავაცვი  
და ფრთა-მოტეხილს ჩემს გულისთქმას შხამი შევასვი.  
როგორც ტირიფი, შემოსილი მტირალ რტოებით,  
დიდხანს ეტიროდი მე საფლავთან განმარტოებით,  
დიდხანს ვასმევდი სულის ნაღველს მტირალ სტრიქონებს,  
დიდხანს ვუმღერე სონეტები მუკნარ იის კონებს,  
დიდხანს ვუცადე ტრფობის გვირგვინს სხივ დაფრქვეულსა,  
მაგრამ, ხომ ხედავ, შენს სიყვარულს უცბად წვეულსა,  
როგორც ამ რითმას, მეტისმეტად დააგვიანდა.

## II. პლუთონიკა.

# ურმული

ამონასჯე მითსრბიდან.

.....  
შორიდან სიმღერა მოესმათ.

ეს სიმღერა ურმული იყო.

მაგრამ არ ვიცი, მკითხველო, გაგიგონია-კი როდისმე ურმული ზაფხულის მთვარიან ღამეში? თუ არ გაგიგონია,—მაშ ნუ დამემღერები, ვინიცობაა ჩემმა აღწერამ ვერ დაგაკმაყოფილოს. აქ, იქნება, თვით გენიოსსაც უმეტყუნოს კალამმა და მე,—ერთი მორიგი მჯღაბნელი,—სათვალავში რა ჩასავდები ვარ?!

ურმულის მიერ ადამიანის სულსა და გულზედ დაჩნეული შთაბეჭდილება სხვადასხვა გვარია. ის, ვინც არ იცის ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრება, მისი ყოველწუთიერი ტანჯვა-ვაება წარსულშია და აწმყოშიც, გამუდმებული ბრძოლა ბუნებისა და ცხოვრების მრავალფეროვან მოვლენასთან, იქნება არც-კი მოინიბლოს ამ თავისებურის ჰანგის მეტყველებით... არც ის გამიკვირდება, რომ მან სთქვას კიდევ:—ეგ თქვენი ურმული მხოლოდ უხეშ სმენას თუ დაატკობსო. შეიძლება, არცა სტყუოდეს... კაცია და გუნება... მაგრამ ჭეშმარიტი ქართველი მაშინათვე იგრძნობს, რომ ურმულში ჩაგრებილია, ჩაქსოვილია სული და გული ქართველის ერისა. და ის კი, რაც გამოსთქვამს საიდუმლოებას ერის გულის-პასუხისას, სულთა-ძვრისას,—მე გგონია, და შენც დამეთანხმები, რომ მართო უხეშ სმენას როდი უნდა ატკობდეს.

არის ისეთი სიმღერა, რომელსაც თვით ხელოვნების დიდებული ქურუმიც-კი ვერ დასძლევს, ვერ აართმევს ალღოს და ვერ მოუძებნის იმ იერს, რომელც ჰზიბლავს ხოლმე მსმენელს. მაგრამ ზწირად მოხდება, რომ ამავე სიმღერას ერთი უბრალო ადამიანი, რომელმაც არც-კი იცის, არსებობს თუ არა ქვეყნად სიმღერის წესი და რივი, ისეთის გრძნობით განმსჭვალავს, ისეთის მადლით ადავსებს, რომ განცვიფრებას ეძლევი.

ურმული ერთი ამ სიმღერათაგანია.

რამდენჯერმე გამიგონია იგი ნამდვილ მომღერალისაგან და უბრალო გლეხკაცისაგანაც. და არასდროს მომღერალს არ აღუძრავს ჩემს არსებაში ის უცნაური,—თან ნეტარი, თანაც მწარე,—სევდიანი გრძნობა, რომელსაც ყოველთვის ამიშლიდა ხოლმე უბრალო ადამიანის სადა, მაგრამ მუდამ კილოიანი ლულუნი.

ან, იქნება, ამის მიზეზი იყო ხოლმე ურმის გულგამაწვრილებელი ჭრიალი, ხარკამეჩის დარბაისლური ფეხის ბაკუნი, მეურმე თავისის სახრის ტკაცუნით და შოლტის ტყლაშუნით და მთვარიანი ღამე, ყოველივე ეს ერთად შეთანხმებული, ვით ბუნებრივი აკომპანიმენტი ჰანგისა,—რომელსაც მოკლებულია მომღერალი... და რადგანაც ახლა მე და შენ, მკითხველო, სწორედ ასეთი გარემოება ხელს გვიწყობს, მოუსმინოთ მეურმეს მისი სიმღერა.

მკითხველო, შენს ცხოვრებაში. ზწირად თუ არა, ერთხელ მაინც ალბად შეგხვედრია სევდით აღსავსე თვალები. შეიძლება, ამ თვალების პატრონი გაჩუმებული იყოს, უმოძრო, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი თვალები მაინც მეტყველებს, მეტყველებს... სევდას... ან იქნება, იგი იცინოდეს კიდევ, მზიარულბედეს, კეკულეობდეს... თვალები მაინც მეტყველებს, მეტყველებს... ისევ იმავე სევდას... სევდა ამ თვალებისათვის განუშორებელი შინაარსია, ბუნებრივი, უცვლელი... მოხდება ხოლმე, რომ ამ თვალების იერი თითქოს უტბად ფერს იცვლის... მაგრამ, რომ დააკვირდე, ადვილად შეატყობ, რომ იცვალა თვალების იერი-კი არა, არამედ—იერი სევდისა. აქამდის სევდა თხლად იყო მოდებული თვალბეჭდში, ახლა უფრო გახშირდა ღრუბელივით, ჩატბორდა აზვითრებულ მორივევით და აქა-იქ სიღრმეში თითქოს ცრემლმა იწყო ციალი.

თუ ერთი-და-ერთი ჩაუკვირდი ამ თვალების მეტყველებას,—სამუდამოდ სამა-  
ხსოვროდ დაგრჩება, თავის დღეში არ დაგავიწყდება, როგორადაც რომელიმე  
დღიად აზრი, იდეა...

რომ შესაძლებელი იყოს, ხმას, ჰანგს ხორცი შეასხა და ხედვისათვის საჩინარი  
ჰყო, მაშინ ურმული სწორედ იმ სევდით აღსავსე თვალებად განხორციელდე-  
ბოდა. ხმა-შეკიდებულ ამოძახილში, თუ დაბლა დამდოვრებულ ფარდებში გა-  
ნუწყვეტელი სევდა გაისმოდა, ხან მშუოთავი, ცეცხლივით მწვავე, ხან მინე-  
ლებული, მიბნედილი, ვით ბინდ-ბუნდი მწუხრისა.

როგორადაც ის სევდით მოცული თვალეები არავის და არაფერს არ უჩიოდა,  
სწორედ, იმის დაკვალად, ურმულიც არავის ჰყვედრიდა, არავის ამხელდა. თვა-  
ლებშიც და ურმულშიაც თანასწორის ძლიერებით გამოითქმოდა რაღაც ბედის-  
წერითი კაეშანი, თითქოს ეს კაეშანი მხატვარი ყოფილიყოს და თვისის ხელით  
ეხატოს თავისივე სახება—ერთს შემთხვევაში თვალების მეტყველებით და მეო-  
რე შემთხვევაში—ჰანგთა აღგზნებით.

ასეთი იყო ურმული,—ეს სიმღერა სევდა-კაეშნისა.

სივრცეს მეურმის ხმა თამამად აპობდა, რადგანაც ირგვლივ მყუდროება იყო  
გამეფებული და გზად სხვა არავითარი დამაბრკოლებელი ხმაურობა არ ელო-  
ბებოდა. ჰაერი თრთოდა, ირყეოდა ხმის ნავარდზე, თითქოს შიგ სხივი-რამ  
შეიჭრა და იქაურობა მთლად ააბზინაო. მეურმე მქაზედ როდი მღეროდა.—ურ-  
მულს სიმუხებე, სიმძლავრე არ უხდება. ურმული ნიავეით სათუთი ჰანგია, პა-  
წია, მაგრამ მრავალ-გრეხილოვანი. ჰანგის სხვა-და-სხვა ფარდა ზესკენლ-ქვესკ-  
ნელსა ჰგავს და ამ ორ კიდეთა შორის მრავალი მიხვეულ-მოხვეული საფეხურია,  
რომლებზედაც ხმა გველურის კლაკნით და რხევით ჩადის და ამოდის...

## ქ. მასკვილი.

### იცი რა?

იცი რა?  
მიძირა  
სიყვარულის ზოვამ.  
მაგრამ რა!  
მოშპარა  
შენი თავი სხვამ!!  
მას უმზერ  
მას უმღერ  
შენ სიმღერას ჩემს!...  
ენებით ის  
ვიცქერის,  
სულში ლახვარს მცემს!  
რით გამკობს?..  
რით გატკობს?..  
მიგიჩნევს ღმერთად?  
შენ თუ ის  
ვინ სტყუის?  
ორივე ერთად??...  
ახ, გულსა,  
დაგულსა—  
ახრჩობს იქვის ფხა!  
რა ექნა, რა?  
ტყვია გკრა?!..  
შეკრთი?... ხა-ხა-ხა!!..



პალეონო გოგინიაშვილი.

## ქალს ჩაქენილ თვალთ

რად სხვანაირობს შენი ცქერა და რად მაწვალებს?  
გული, პირბადით დაბინდული, მე მენანებსება;  
იღუმალ თრთოლვით მე ვუცქერი შენს ცისფერ თვალებს,  
—მაშინებს მუდამ საკვირველი მათი მსგავსება.  
და ამ ორ თვალში რომელია ყალბი, მართალი,  
ჩემმა ოცნებამ ვერასოდეს ვერ გაარჩია!  
არ გიყვარს მთვარე — ვარსკვლავების ნაზი სარდალი,  
არ გიყვარს ღამე — სასიკვდილო შავი არშია.  
შენ თვალს ჩაქენილს მზის სხივებში ვაბათობ, ალბათ,  
გედის პროფილით დაიმონებ ბევრ მამაკაცებს.  
ო, რა უცხოა შენი თვალი, მხიბლავი ყალბათ,  
ნეტავი იმას, ვინც ამ თვალზე ნაზით გაკოცებს!  
თვალის მაგივრად შენ ძვირფას ქვას მუდამ ატარებ,  
რომ მე ყოველთვის ვიოცნებო ხელოვნურ თვალზე;  
შეშლილ ქალაქის ავზორციან სფინქსს შეგადარებ,  
და გული ღეჰსში ატირდება თავის ფრიალზე!  
შენ როცა გძინავს, ვაღებულნი გაქვს თვალი ერთი,  
მაგრამ მე მაშინ... მე არა ვარ შენს სარცეულზე,  
და მე არ ვიცი შენი ცრემლი, ხმა ვასაღმერთი,  
მხოლოდ სიზმარში ვეამბორე ბეჭედს შენს ხელზე!  
მე არ მაგიჟებს შავგვრემანი შენი ღლიავი,  
და კლაღიშებით მოთენილი, წვერილი თითები,  
მე მათრობს, მათრობს გამოუყნობ თვალთა ნიავი,  
მაგრამ ყოველთვის მედიდურათ მომერიდები!  
რა რიგ მწყურია მარგალიტი, თვალში რომ ბრწყინავს,  
ო, როგორ მინდა შენს წამწამებს შევეხო კბილით!  
ეგ შენი თვალი დაუნდობი გულს გამიყინავს,  
ეგ შენი თვალი იამაყებს ჩემი ტკივილით!

სანდრო პანელი.

### PRELUDE

მე მოვედი ამა სოფლად უცნაურად მოხიბლული:  
თვალს არ უყვარს ბაღის ვარდი, გულს არ მიკლავს ტყის ბულბული...

ქვის და რკინის საზანდარი, გავცქერ ქვეყნის ტლანქ სიმუნჯეს,  
ტრაგედიას ხუმრობად ვქმნი, ცრემლით ვამკობ სიოხუნჯეს...

მე მწამს: სიტყვა თლილი ლოდის, გრძობა — მზისფერ ცეცხლისთანა,  
კაცს და მეგლსა ერთნაირათ ჰქმნის ღმერთი და ჰქმნის სატანა...

მე მოვედი ამა სოფლად, უცნაურად მოხიბლული...  
მე დავგლოჯე ბაღის ვარდი, დავადუმე ტყის ბულბული.

ნაკიანის დამლევი.

პირველი ნაწილი.

## სევდიანი ზურმუხტი

ნოხთა ყვავილებს გადაესხა ოქროს სასხური,  
მაგრამ დედოფალს ჯერ არ სძინავს და თერთად ელის,  
პირამიდებში გაიფანტა ნისლი სიბნელის,  
და კიდევ ერთხელ მოშვილდაობს მეფის მსახური,  
დღეს სხვანაირი: ფერწასული და უსახური.  
მოჰქრიაან ხმები საშინელი გასაგონები:  
„მოგვიკლეს მეფე“. და ატირდენ ბნელი მონები,  
დარბაზში კრძაღვით შეასვენეს მბრძანებლის რახტი.  
ლამისფერ ფარჩით შეიმოსა ფიროუზის ტახტი.

ღრმა ღამეებში, თეთრ ლანდივით შესახედარი  
სწუხს დედოფალი: დაფანტულა ფიქრი მრავალი;  
საზღვრების იქით იხედება მისი მხედარი,  
მაგრამ არ იცის ნათელი გზა იქ წასავალი.  
და მძინარ დარბაზს თითქო ნახად მიეპარება,  
სანთლის ფერ ლოცვით აჩქარებას მეფეს პირდება,  
მაგრამ ჩქარი მზე შორეულ ლანდს მიეფარება,  
და დაღალული მეოცნება კვლავ ატირდება.

აღმოსავლეთის ძვირფასი ქვა, თეთრი მადონა  
დილით ირთებდა ელვარებით და სიძვირფასით;  
მაგრამ იჩოქებს დედოფლის წინ ასულიმონა,  
ფრთხილად აგროვებს ზურმუხტის ცერებს იისფერ თასით.  
და ყოველ ღამის, ამ ცრემლებში პირდაბანილი  
კრძაღვით შეხვედრა ჩუმ დედოფალს მტად უხდება.  
და როცა მოვა სურნელება მზით მოტანილი  
ემჩნევა სახეს საკვირველი გაზურმუხტება.

საზღვრების იქით ნათელი გზა არ ინახება  
რაც უნდა ბევრი ღამეები ცრემლებით სთვალო!  
ძველ სიმღერებში შენი მუდამ წმინდა სახება,  
თეთრ პილიგრიმებს შენახული აქვს დედოფალო!  
როცა არაბი ჰვანტავს სილას აელვარებულს,  
იგონებს როგორ ლოცულობდი და როგორ სწუხები,  
და იმ სიმღერას მარად ახალს და შეყვარებულს,  
პირამიდებში სევდიანი, — ჰქვია, — ზურმუხტი.

ღამე ქიანაღი.

## ქება გაზაფხულისა

— გამარჯობა!.. გამარჯობა, გაზაფხულო!!

აჰა, შენი პირველი გამოხედვა.— იგი მცენარეთ აკოკრებს!! აჰა, შენი ბუნება!..  
იგი ქალწულობის წიაღისებრ უმანკოა და უტოლველი!! აჰა, ჰაერიცა!.. იგი  
სუნთქვავა შენი მსუბუქი და წმინდა!!

— გამარჯობა!!

უმანკო ხარ, ვით უსაკო ასული! ბავენი შენნი— მიხაკის წითელი ფოთოლნი,

და ლაწენი შენნი—გასაშლელ ვარდის მკერთომარებანი!.. კბილნი შენნი—შრო-  
შანის ძივები, და თვალნი შენნი—უჩინარი ვნება!

ჯერ უმტკენოა მკერდი შენი და სწორი, ვით ზედაპირი დილის წყნარი ზღვისა,  
რომელიც დუღილის ზვირთების, ვნების მთების, მოლოდინშია და მუცელი შე-  
ნი შეუნძრეველი კვირტი, სიმწრისა და სიტკბოების უცოდინარი!

— მოვედ!.. მოვედ, მშვენიერო და სატრფოო, რათა ვიხილო სავსებით და  
შეგიყვარო, რამეთუ ცხოვრება ხარ!

— მოვედ!.. მოვედ, მშვენიერო და სატრფოო, რათა გემობორო და გავიხარო,  
რამეთუ ცხოვრება ხარ და მსურხარ!

— აჰა, მოსულხარ, დასაკებულო, აღესილი!

ვით გაშლილი ვარდი ყნოსვად, ისე ლაწენი შენნი კოცნად მიწვევენ!.. თვალნი  
შენნი ვნების ცეცხლს მატრქევენ, და სურვილი შენი ცხადია!

შენი მკერდის ზღვის ზედაპირი მთებს გაუპია, შენის სრულსაკობის ძუძუთ,  
რომელნიც ქარვასლანი არიან ნეტარების, და ტანი შენი—სიყვარულის ღვინის  
შადრევანია!

— აჰა, მე,—ქარვასლას თანა შენსა, რამეთუ მუნ სდის მდინარე წარუველო-  
ბის, და მსურს ვიხილო წყარო მისი!.. შენის სიყვარულის ღვინის შადრევანს  
დავეწაფვი მწყურვალნი მისი და დავითვრები, რამეთუ მწყურია სიცოცხლე, და  
ღვინო შენი—მომნიჭებელი მისი!

— ამბორმყავ და მასვი თაფლი შენის პირისა!! ამბორმყავ და შთამბერე სუნ-  
თქვა შენის მკერდისა. რამეთუ თაფლი შენი—ცხოვრებაა, და სუნთქვა შენი—  
უკვდაება!

ზამთრით ვარ მოწყულულ, და სული ჩემი შფოთვის ცეცხლზე იწვის. რამეთუ  
ვისმინე ხმა სიკვდილისა ამ ზამთარ და ვიგრძენი, ვითარ შემეხო ფრთე უკუ-  
ნეთის!

— სასო ჩემი—შენი ამბორი! სიცოცხლე ჩემი—შენი ღვინო, და სუნთქვა შენი—  
უკვდაება ჩემი!

— აჰა, მასმინე ხმა შენი, სატრფოო და მშვენიერო!.. მასმინე ხმა შენი და  
აღმოშალე სმენისაგან ჩემისა ხმა იგი სიკვდილის, რამეთუ არ დამკვიდრებულა  
სიბრძნე სულსა შინა ჩემსა და შიში მიპყრობს მე!

— ხმა შენი—საამო, ტკბილ და სასურველ!.. ხმა სიკვდილისა—საშინელ და  
ტყვედმქნელ!

. . . მე—წყლული ტანსა შენსა ზედა. და სიმკნარე გაზაფხულობისა შენის!  
მე—კერძობა გარეშე შენის მთლიანობისა!.. მე—კენესა და ყვირილი გარეშე  
შენის სიმფონიისა! რამეთუ სიკვდილი მახლავს მე და სახე ჩემი აულროძინებ-  
ლად წარმავალია!

— სახე შენი—მრავლობა და უკვდაება!.. სახე შენი—მსოფლიო და უსამანობა!

— შეგიყვარე შენ, რამეთუ სრულება ხარ, და სულსა ჩემსა სწყურხარ!

— მოვედ და ამბორმყავ!.. მოვედ და შემიყვარე!.. რამეთუ ამბორი შენი—  
დათურგენა სიკვდილის, და სიყვარული შენი—ხსნა ჩემი!

— აჰა, ტკბილია თაფლი შენის პირისა!.. მათრობელია ღვინო შენის ტანისა,  
და გამკურნებელი—შადრევანი სიცოცხლის ემზისას შენი!

მიძრამი მკაცრად.

## ქართველი ქალი

ოსმალელმა ქართველ ქალსა შემოჰვითცა სიყვარული,  
ჰკადრა— „ტურფავ, ცეცხლის ალსა შენ მიეცი ჩემი გული;  
დამეკარგა სულ იმედი, ცრემლიც ბევრი დამედინა,  
მოწმად მომეყავს მუჰამედი მისი მეტქა და მედინა!“—

რუსმა ჰკადრა: „ფრთხილად ქალო, ურჯულომ არ შეგაცდინოს,  
მასში რაა სატრფიალო, ჰქეიფობს და არ სეამს ლეინოს!  
შენს სიტურფეს, გულის ძეგრას, დააფასებს იგი განა?  
შენც დავაჰქნობს, ვარდის ფერას, მის უმზეო ჰარამზანა.  
ტურფავ, ჰნახე ჩემი მზარე, ჰნახე როგორ მიიშლება  
მის სიგრცეზე მოელვარე დასავლეთის მონათება;  
ამ შუქითა მოხიბლული შენც გახდები ბედნიერი,  
ქალო, ჩვენ გვაქვს ერთი რჯული, ერთიც უნდა გვქონდეს ჰერი!“—

ქალმა ბრძანა: „დამეხსენით, ორთავესა გიცნობთ კარგათ;  
ნლობა წმინდა, საესე ლხენით, ორთავესა დავეკარგათ;  
ჯერ არ მახსოვს აქამდინა დღე უღრუბლო, უბურუსო,—  
არც მეტქა მწამს, არც მედინა და არც შენი ფიცი, რუსო...“

ნ. ლერთაქიანიძე.

## გული

მოკვდა.

დის ნაზს ხელს არ გაუსწორებია სასთუმალი; იღუმალის მწუხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს; ნაცნობებს არ მოუქითხავთ; უკანასკნელ წამს შენდობა არ მიუღია იმ მშვიდ, წყნარ აღამიანისაგან, რომლის ძალა აღარ სწამდა, მაგრამ დამამშვიდებელი სიტყვების მისგან გავგონება მაინც უნდოდა; დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები.

მოკვდა უცხოეთში.

—ათასი სნეულებით იყო ავით; არავითარმა წამალმა არ იმოქმედა; იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმი.

ცხედარი გასკურეს.

პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?!

ერთმანეთს შესცქეროდნენ.

ბატონებო, გული, გული სადღაა?

გულის მაგიერ ფერფლი ღა დარჩენილიყო.

დღეებით გაგებულ უბედურებისაგან თავზარდაცემული დედა შევიდა საყვარელი შვილის ობლათ დატოვებულ ოთახში. ქვითინებდა: ასე გამოიმჩნეტ ქვრივი ოხერი? სადაა შენი კარგი გული, ამდენის ვაით და უთით რომ ჩაგიდგი საგულეში?

კედლიდან პატარა რუქამ გასცა პასუხი:

მე დავაჰქნე!

მე დავწვი!—გახმაურდა სურათი მაგიდაზე.

სიტყვები არავის გაუგონია.

მარტინ.

## გულის ნამცეცი

გახსოვს, ერთხელ სიომ ჩანგი წამოანთო ასაქურად;  
გახსოვს, ფოთლებს სისხლის ლაქა წაქავეცხო წინწყლის ფერად;  
გახსოვს, წყაროს ქიმ-ნაპირი ისე იყო დახვესული,  
ვით ჩემს ლექსში იღუმალად მომწყვედელი შენი სული.  
გვეწვაობდით, გახსოვს, ორნი ეცელქაობდით, ვნავარდობით,  
აწმყოს ვკვერტდით ღიმილითა და წარსულზედ არ ვდარდობდით  
ვიგონებდით ძველ მეგობრებს, ვოცნებობდით მომავალზე  
და ცრემლები სიცილისა ძეწვაობდნენ ლამაზ თვალზე.  
ამ დროს უცბად ბაღს ესტუმრე და გამწორდი ისე ხელად,  
რომ მე სიტყვაც ვერ გითხარი ხვაშიადის გასამხელად,  
აკონილი ყვაილები რამდენიმე სტრიქონ-ბწკარი  
გადმომიცი! და შეილივით მკერდში ფრთხილად ჩავიკარი.  
დრო გავიდა. თურმე იმ ვარდს შენ რომ გულით მომიძღვენი,  
თან გამოჰყვა შენი გულის ანამცეცი, ანაფტქვენი,  
და მას აქეთ იმ ვარდის ცვარს ჩემი გული ხარბად იშრობს—  
ის ღიმილობს ჩემს ტუჩებზე და თვალებშიც იგი ვიშრობს.  
შენი გულის ნამცეცი, —შენი ტრფობის სავენახე,—  
გადავმაღე გულის სკივრში, გულის სკივრში შევინახე.  
მას ევლება ჩემი ფიქრი, ჩემი ლექსი, ჩემი ვენება,—  
ნუ მეძალვით! მე არ ძალმიძს ამ ნობათის დანებება;  
შენ კი, ჩემო მეგობარო, რაც მომიძღვენ სამახსოვროდ:  
გსურს წამართო და მე, მეფე, კვლავ გაზხადო სამათხოვროდ?  
ი, ნუ იზავ შეუძლებელს, მე ისედაც დავერჩი ობლად,  
მე ისედაც არეინ მივის სიყვარულის თანამგრძნობლად.—  
მე მაცოცხლებს ჩვენი ტრფობა, მე მაცოცხლებს ტრფობა ჩვენი,—  
შენ რა იცი რა განძია ვარდი შენგან მონაძღვენი?..

მალა ღაღანი.

## ნანსპისარი—გაჩემებურებული

მიყვარს სურნელება ძველის გამოდგარის ღვინისა, გაბოლება კარგი თამბაქოსი,  
სპარსულ ხალიჩის უცხო რამ სახეები, სისალუქე აბრეშუმის ქსოვილისა, ცის  
ტატნობის სხვადასხვა ფერობა, ზღვის ბუტბუტი, ჩურჩული ტყისა, სიმწყვანე  
მინდვრისა და მიუვალ მათა ვერცხლით მოჭედილი მუხარადი. მიყვარს ჭკვიან-  
ნი, გულის ტკივილით დაწერილი წიგნი, ლამაზი ქალები, თეატრი, ყვაილები  
და ბავშვები.

მაგრამ მხოლოდ ამისთვის არ მიყვარს ცხოვრება.

არც იმისათვის, რომ მას თან ახლავს კეთილი და ბოროტი, მშვენიერება და  
სიმახინჯე, უფსკრული და მწვერვალი, სიმდიდრე და სიღარიბე.

არა ამისთვის!

მიყვარს მისთვის, რომ ცხოვრება დაუცხრომელი და ბრძენი შემოქმედი.

მიყვარს მისთვის, რომ იგი ეძიებს და მისწრაფვის, ჰქმნის კანონებს და არლ-  
ვევს მათ, ანგრევს და აშენებს.

მიყვარს მისი დაუდგრომელი სული, მისი მუდამი ცვალებადობა, მარადიული  
შემოქმედება...

და თუ მე სულელი ვარ, სხვებზე ჭკვიანი მაინცა ვარ; თუ ღარიბი ვარ, მაინც  
უმდიდრესი ვარ სხვებზე; თუ მახინჯი ვარ, სხვებზე მშვენიერი ვარ მაინც; თუ  
უბედური ვარ, მაინცა ვარ სხვებზე ბედნიერი.

ჩხ. ზოქორიძე.

## ალერსის ბალი

არაბული სიმღერები X საუკუნეში

ეს ლექსები დაწერილია არაბებისაგან ესპანიაში მეათე საუკუნეში, ნაპოვნია ტომბუქტუში ძველი სანჯორის უნივერსიტეტის არქივში.

ხუთი საუკუნის წინედ, ვიდრე ტუარეგები დაარბევდნენ ტომბუქტუს, ეს მხარე ცენტრი იყო მთელი ისლამის გონებრივ და მრეწველობის განვითარებისა. როდესაც არაბები განდევნეს ესპანიიდან, ბევრი სწავლული გადასახლდა ტომბუქტუში. მაგრამ ეხლა ამ ქალაქის მხოლოდ ნანგრევები დარჩა და დიდებული სანჯორის უნივერსიტეტი მეჩეთად გადაუყვებიათ, რომელშიაც მსახურობს მარაბუტი. ის გულმოდგინეთ ინახავს წიგნებს, რომლის უმეტესი ნაწილი ინტერესს მოკლებულია. ერთმა ფრანგმა მკვლევარმა დაითანხმა მარაბუტი რომ ეჩვენებინა მისთვის არქივი, სადაც იპოვნა პერგამენტი, რომელზედაც წმინდა არაბულ ენაზედ დაწერილია ეს ლექსები — „კასიდას“ და რომლის გადმოწერის ნებართვაც მიიღო:

### 1. მოთმინება.

როდესაც გესაუბრებოდი, შენს კალთაზე მავნოლიის ყვავილის ჩრდილი დაცა. ის ისეთი მძიმე იყო, რომ შესწყვიტე ჩემი ყურისგდება და რწევა დაუწყე იმ ჩრდილს, როგორც შეგძლო რწევა ჩვენი სიყვარულის შვილისა, თუ ოდესმე აღსრულდებოდა ჩვენი სიყვარული.

### 2. მობანავე.

წარბები მალა აგწია და ბაგე გაშლილი გადასცქეროდი მდინარეს, რომელსაც ნიჰქონდა შენი ტანთსაცმელი. ამ დროს ნაპირზე მივდიოდი და გადმოგძახე:

— სალამი, ბაკილის ქალო! ცა გწყალობდეს ბედნიერებით.

— რა ბედნიერება! ჰხედავ? წყალს მიაქვს ჩემი ტანთსაცმელი.

მაგრამ მგოსანს ყოველთვის მზათ აქვს მოსწრებული პასუხი და მე გითხარ:

— იყავ ბედნიერ, ბაკილის ქალო! შენი სიყმაწვილევ იმ ტანთსაცმელს წააგავს, რომელიც მიაქვს ნიაღვარს. დღითი დღე ის თანდათან შორს მიდის და ვერავის ხელი ვერ დაიჭერს მას. ნუ უტკერ! ნუ! ნიაღვარს. მოდი ჩემთან ჩრდილში და მე დაფარავ კოცნის ტანთსაცმელში.

### 3. ბრძოლა.

სიყვარულის სიტყვები ტუჩზე გაიყინენ და ჩამოვარდა მკედარი სიჩუმე. ასე სდუმს ორ მოპირდაპირეთა საბრძოლველად გამზადებული ბანაკი.

დაიწყო ბრძოლა, ბრძოლა სიყვარულისა. მე თავდავიწყებით მივეცი მას.

ჩვენი კოცნის ხმა გაისმოდა ვით ხმალითა წკრიალი, ჩვენი სუნთქვა წააგავდა დაჭრილთა ოხვრას, და ჩვენი ძარღვების სისხლის ტკრციალი გაქანებულ ეტლის ხრიალსა...

ვით დახეული დროშა გადაგისროლე შორს! შორს!..

### 4. ხანჯლები.

ისინი ბრძოლის მზის სხივებში ბრწყინავენ, ისინი სისხლში მოსერილ მკვლელის ხელშია და სიყვარულის სახის გამომეტყველებაში.

### 5. სიბრძნე.

იის ფერ აბრეშუმით დაწვა სილაზე მისი ჩრდილი.

— შეჩერდი!

გვედრებოდი მას.

— მომეცი ნება, რა გენაღვლება ვკოცნო მე იმ აბრეშუმს?

— ეს განა მხოლოდ ჩრდილი არ არის დედაკაცის?

— დიალ! ეს ჩრდილია იმ დედაკაცის, რომელიც მიყვარს, მაგრამ არ ძალმის ვაკოცო მის ტუჩებს. ნება დამბრთ სილაზე ვკოცნო მისი ჩრდილი. ჰხედო, ის ვნებით როგორ თრთის?

— ჩემი ტუჩები ამ სილაზე მხურვალეა და რად უნდა ჰკოცნო სილას? მაკოცე ტუჩებში საყვარელო.

უკოცნელად ვავშორდი, რადგან მისი ტუჩები ჩემში აღარ იწვევდენ კოცნის სურვილს.

#### 6. სახოწარკვეთილება.

ჩემი გული გსურს? აღარა მაქვს ის?

შენ თვითონ იცი ვინც წაირიტაცა.

ჩემი სული გსურს? აღარა მაქვს!

სიკვილის შავი ანგელოზი გეტყვის სად არის ის.

ჰა, ოთხი ხანჯალი, შენს კარებზე მით მიმაჩხებ, მხოლოდ მომეცი უფლება ვსთქვა: „მიყვარხარ!“

— თუ სიკვილი გსურს, რაღად მინდა შენი სიყვარული?

— შენ შეჭმნი მისგან უმწიკვლო კოცნას და მიუძღენი ჩემს გაციებულ გვამს.

#### 7. ყელსაბამი.

შენ გაუგზავნე ყელსაბამი ზეინაბს? რა თქმა უნდა გაეხარდება, მაგრამ ყელს გაუციებს მარგალიტის მძივები.

მეცა მყავს ქალწული, რომელიც დარჩა იქ მზის სამეფოში. განშორების დროს დავკიდე მას ყელსაბამი ჩემი კოცნისა და ყოველი მარგალიტი მისი იყო ჩემი ცრემლისა.

#### 8. ღამეში კოცნა.

ორივე ხელით მოვწიე მე შენი თავი და გაუმადლად ვსვამდი ტკბილ სასმელს სიყვარულისას.

საკვირველია! სად იყო ამ პატარა სურათში ამოდენი ტკბილი სასმელი?

#### 9. სიმღერა.

მე ოდესღაც მინახავს ზღვა, ის აღიოდა ჰორიზონტამდის მოთესილი თეთრი აფრებით, თეთრი ვით შროშანი შენს ბაღში.

შროშანი ჩამოსწყვიტა ქარიშხალმა და მისი ფოთლები სკურავდნენ ზღვაზე.

მე ოდესღაც მინახავს ზღვა.

იმ დროს ის იყო აზვირთებული, ვით შენი სიყვარული დი მასში ილუბებოდნენ ბედნიერების მაძიებენი.

შენს სიყვარულის ზღვაზე დავსკურავდი მე ოდესღაც, და თუ შემეძლო დავბრუნებულყავ ნავთსადგურში, იმიტომ, რომ შენ არ მიყვარდი.

#### 10. ძილი.

მახსოვს მე დილა დამასკოში, მახსოვს სიჩუმე ბაღისა, რომელშიაც შენი გეძინა. შენ ყელისაგან წვებოდა მტრედის ფერი ჩრდილი, შენი მკერდი ისე იჩხეოდა, ვით მდინარის შუაგული.

შენი ხელები ბალახებში ვერცხლის ფრად მოჩქრიალე ორ ნაკადულს წააგავდა. და პეპელები სხდებოდნენ შენს ფრჩხილებზე, რადგან ყვავილები ეგონათ.

ნეტავ ამ წუთში მამა ჩემი თუ ხედავდა სამოთხის შვიდ ბაღში ჰურის, შენზე მშვენიერს?

მე დავწიქი შენს გვერდით, ვით მათხოვარი მეჩეთის ახლო,

პაპაძე პაპაძე.

## ფერების სიმღერა

როცა მიმივდ მოგვხარეს და რაც გვიყვარდა მოგვტაცეს, უნუგეშობამ იფლო ჩვენი სული.

განაწამებდი ვიყავით და წყვილიაღში ლამპარს ვეძებდით. მაშინ მარტო ახალი გზა გვინდოდა, ვვედრებდით— „აღმოვეყვანეთ მღვიმისაგან გლახაკობისა“.

რაც დავკარგეთ, მის ძიებაში ვიყავით, გვინდოდა ბილიკი მინც გვემოენა მასთან მისავლელი, მისი ხმა ერთხელ კიდევ გვსმენოდა: საყვარელი, მშობლიური. „რა პატივს ჰყრიდა ნახი ბულბული“, თუნდაც მისი გალია ოქროსი ყოფილიყო... ჩვენი გალია ხომ უხეშ თუჯის ბორკილებისაგან დაელობათ, ვინ გაამტყუნებს ამ ბულბულს, რომ მარტო „დამიხსენით! ამაფრინეთ!“ იძახოს? თუნდა არა მუსიკალურადაც.

ჩვენც ამახ ვითხოვდით ქართულ მწერლობისაგან—გალიდან თავის დახსნა გვინდოდა მეტად.

და იმათაც, ვისაც ღიდი ბუნება ჰქონდა, გასწირეს თავი და „თავისუფლების“ სიმღერით ამოიწურენ.

პოეზია, თანდისთან, პრინციპთა კონკრეტისაგან გამაგრებოდა, ლოზუნგებს სქედლა მტრის დასაკოდად. მას განსაზღვრული მიზანი უფრო იტაცებდა, მინამ უმეშვეო განცდა ხელოვანისა.

პროპაგანდა მაღალ აზრებსა და ხელოვნება სინონიმებად იქცენ: მეორემ ბევრი დაჰკარგა, პირველმა საქმად ისარგებლა.

პიროვნება წაიშალა, ინდივიდუალური ხელოვნება გაჰქრა და პოეზიაში ჯგუფობობამ დაიპყრო.

ყოველი მგოსანი თვის ჯგუფის დღიურ ვარაშს დამღერის: გაურბის თვის თავს და სხვა ჯგუფთა „მიმართულებას“.

ბოლოს სურათი სანუგეშოდ იცვლება: საზოგადოებრივი დიფერენციაცია ნორმალურად ვითარდება—პოეზიას პუბლიცისტიკიდან ექვემდებარება და ხელოვნება საკუთარ ბუდეს იჩენს.

ეხლა ვისხამთ ფრთებს, თვალს ვახვლოთ; და ძნელია ბევრის მოთხოვნა.

მაგრამ ერთი აშკარაა, ძველ მანერის მწერალს ვერ მივიღებთ, მშრალი რიტორიკა წუთითაც ვერ გვატყვევებს—გულწრფელობა შემოქმედისა მოთხოვნის მინიმუმია.

მგოსანიც ფეხს იბერტყავს, თავს მაღლა სწევს და პირველად ამბობს ახალ სიმღერას, საკუთარ სიმღერას. მან აშკარად დაიწყო თვის თავის ძიება, ინდივიდუალურ ჰანგებზე ქდერა.

ეხლა ბევრნი პოეტად ვერ გახდებიან: თავის ჰანგზე სიმღერას პირადი უნარი სჭირია.

ვისაც სული მელოდიებით სავსე არა აქვს, ნუ მღერის,—ყური დაუგდოს უცხო სიმღერას.

მოდის თაობა, რომელმაც გულწრფელად, საკუთარის ნოტებით უნდა გვიძღვროს თვის სიყვარულზე, თვის სულის ღელვაზე, ლოცვის ჩურჩულზე.

მერწმუნეთ, აქ მეტი იდეურობაა, მინამ პათეტიურ ძახლში: „აბა ერთად, შევებრძოლოთ...“ მე არ მინდა უსიცოცხლო პიროვნების შემოქმედება, უიდეურობა, მაგრამ არც პროგრამული იდეა სწამს შემოქმედებას. ვინ მოსთვლის სად აღის მებრძოლის, შეყვარებულის, ვნებიანის მელოდიები...

მეტად მოყვარულნი ვართ „კულმოკეცილ“ იდეებისა პოეზიაში, ამიტომ დღეის მწერლობაში, მას რომ ვერ ვამჩნევთ, გული გვიკვდება და რაც არის, მასაც ვერ ვხედავთ. არ გვაკმაყოფილებს, პროგრამის ზომიერებაზე აღზრდილთ, გიჟური თამაში სულისა, „უშინაარსო“ სიმღერა.

მაგრამ, ცხადია, ისე ძლიერად მოხვდა ჩვენს პოეზიას თავისუფლების ტალღა,



რომ მას თვალები აერიო, თავი დაუბრუნდა და მარტო ნეტარების სიმღერას ამბობს.

ხომ ავრე გიყვართ თავისუფლება? მაშ დააცადეთ, მათაც იგემონ განცხრომა ბორკილების დამსხვრევის შემდეგ, დღეს პირველად მივეცი თნება—თვის თავზე მოგვიხსრონ, მონობას თავი ანებონ და გულწრფელნი დარჩენ.

არ იყენენ ამას ჩვეულნი.  
ვის შეუძლია მისთხოვოს, დიდის ხნით დანატყვევ ფრინველს, გალიიდან გამო-  
ფრინოსთანავე, სწორი კამარა გაჰკრას მთვარისკენ?..

მრავალ გრძნობათა მორევით უფეთქებს გული ჩვენს მგოსანს და ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა მისი გზა.

მაგრამ ერთი უცხო ხმა უკვე ძლიერ გაისმა ჩვენში: პოეზიის მუსიკა პირველად ვეგემით, სული რიტმილად დაირხა, მწერლობაში პლასტიურობა გამეფდა... ბუნებრივი, მაგრამ ღრმა მელიოდია ჩასწვდა ჩვენს ყურს.

წარმატაი ფორმით ვადმოდის მგოსნის განცდა, გასათუთდა და გაიწმინდა სმენა, მარტო ხმიერი ძახილი რომ ესმოდა აქამდის.

პირველი, რაც იგრძნო თავისუფალმა მგოსანმა თვისი უმეშვეო ინდივიდუალობით, იყო ბუნების სადა ხმაური, ფერებად რომ იშლება.

და სწორედ ეს ფერები, მისი მრავალი გადაწყენა, პრქვეილება მოხვდა ახილულ თვალებს.

არასოდეს ჩვენს პოეზიაში ისე ძლიერად არ იკვეთებოდა ეს ფერები, როგორც დღეს.

გარეგნული სილამაზე ბუნებისა პირველი ხმაური იყო, რომელიც გაიბნა თავისუფალ შემოქმედის წკირაზე; ახლად ამღერებული გული იქერს ამ მრავალ ფერებს და მისი სიუხვით განცვიფრებული თავდავიწყებით მღერის. ყოველ ფერს განსაკუთრებითი მელიოდია უკავშირდება—ერთი მეორეს სცვლის, მეორე მესამეში ისხმის, გადადის...

ეს პირველი სახეა ახალი შემოქმედებისა, თავისუფალ ანთების პრიმიტივი. ამიტომ ადენი ზურმუხტი, იაფუნდი, ლალი, მარგალიტი არასოდეს არ ყოფილა ჩვენს მწერლობაში. თვალის მკრელია და ღია ყველა ფერები. მათი თამაშით იქმნის გარეგნული მშენება დღეის პოეზიის. მათი თამაში ღამაზე ხმაურს იწვევს. კარგად სთქვა აბაშელმა: „ძვირფას ქვებს სარკვეზე ვყრი“-ო. ამ რაწკუნდიან იქმნის ის წმინდა სიმღერა ფერებისა, დღეს რომ გვასმინეს მგოსნებმა.

მაგრამ უცხო, ღამაზის ნებით ანთებული, სიყვარულიც ძალოვანი ხდება. არა მარტო ოცნება მთვარიან ღამეში, არამედ შმაგი კოცნა, სარო ტანის თავდავიწყებითი ხვევნა, ლოცვა ანთებულის გრძნობისა აღმოსავლეთის მწვავ მზის სხივებზე...

აქაც ფერების თამაში, ყვავილების რხევაში მძლავრად შლის ფრთას სიყვარულის ვაჟური ძალა. განსაკუთრებით, გრიშაშვილია ამ დარგში ძლიერი. მისი სიყვარული ცოცხალ ნერვებისაგან დაწუნულა და მოუსვენრად ჰფეთქებს.

ახალია ეს სიტყვები, ახალია ეგ ფერების სიმღერა, რომელმაც ჯერ მყუდროების ლოცვანი და სულის მრავალ სახეობა დაჩრდილა; მაგრამ გალიის კარი გაიღო, აღმოსავლეთის მზემ თვალების ბროლში აათამაშა ძლიერ სხივთა ანარეკლი და თამაშობენ ფერები, უხვი სახეები რბიან.

გაისმის ფერთა სიმღერა სქესის ძარღვებზე თითების ჩამომკვრელთა. გაღრმავდება, გაიზრდება იგი სიმღერა და დაიუფლებს უძირო სულის მრავალ მხარეს, მაგრამ აღმოსავლეთის მზის ნაკვეთი, ღია ფერები მუდამ ძლიერი იქმნება შიგ.

გალიიდან გამოსულნი, ვაჟურის ანთებით, კინ-მორეულნი აფრინდებიან ყიყინით მაღლა:

„Per aspera ad astra...“

